

I კურსელთა საყურადღებოდ!

გილოცავთ სტუდენტობას და გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო

უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების რეგისტრაცია შესაძლებელია

2019 წლის 2 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართებზე:

- **დრამის ფაკულტეტი** -

*პროგრამული კონცენტრაცია - **დრამისა და კინოს მსახიობი** - რუსთაველის გამზირი №19, III სართული (დრამის ფაკულტეტის დეკანატი), ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

*პროგრამული კონცენტრაცია - **ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი** - აღმაშენებლის გამზირი №40, I სართული, ოთახი 109, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11.00 საათიდან 15.00 საათამდე.

- **კინო-ტელე ფაკულტეტი** - აღმაშენებლის გამზირი №40, III სართული, ოთახი 305-306, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

- **სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი** - აღმაშენებლის გამზირი №40, II სართული, ოთახი 222, ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე

რეგისტრაციისთვის საჭირო საბუთების ჩამონათვალი:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი (1 ეგზემპლარი).
2. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – ატესტატის ორიგინალი ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.
3. 4 ფოტოსურათი ზომით 3x4 და ელ.ვერსია ელექტრონულ მატარებელზე (CD).
4. ვაჟებისთვის: სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო ბილეთი ან/და მიწერის მოწმობა).
5. სწავლის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

- უნივერსიტეტში ხელშეკრულების თანახმად სწავლის **წლიური** საფასურის გადახდა შესაძლებელია ოთხ ეტაპად.

რეგისტრაციისათვის მინიმალური გადასახადი - 562,5 ლარი;

- 100%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი - 0 ლარი.
- 70%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი - მინიმალური 168,5 ლარი.
- 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი - მინიმალური 281,25 ლარი.

ანგარიში:

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი: 203851028

ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22

სწავლის საფასურის ანგარიში: 708887289

სასწავლო პროცესი დაიწყება 2019 წლის 16 სექტემბერს.